ოქმი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

24 აპრილი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. ლელა ადანაია
6. მზია ლემონჯარია
7. გოჩა ქაჯაია
8. ია ჯიშკარიანი
9.ნინო ბოკუჩავა
10. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 18 აპრილის COV 52300011228 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე საკონსულტაციო დასკვნის გაცნობა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 18 აპრილის COV 52300011228 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტზე საკონსულტაციო დასკვნის გაცნობა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ნორმატიული აქტით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს. კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ დანახარჯების ანაზღაურების წესი, რასაც საკრებულოს წევრი გაიღებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება ის გონივრული მატერიალური ხარჯი, რომლის გაწევაც საკრებულოს წევრს მოუხდა წარმომადგენლობით ორგანოში წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. შესაბამისად, დაუშვებელია საკრებულოს წევრს ასანაზღაურებელ ხარჯად ჩაეთვალოს და შეუფასდეს ის ვალდებულება, რომელიც მას კანონმდებლობით უსასყიდლოდ ეკისრება, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ", რომელის თანახმადაც საკრებულოს წევრს შესაძლებელია აუნაზღაურდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა) განხორციელებასთან დაკავშირებით გაღებული სხვადასხვა ხარჯი, რომელიც საკრებულოს წევრს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზღაურდება. საკრებულოს წევრი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული სხვადასხვა ხარჯის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროს ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად.

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ სამართლებრივი კონსულტაციისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს, საიდანაც მიღებულ იქნა რეკომენდაციები რომელიც ასახული იქნა წარმოდგენილ დადგენილების პროექტში.

ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი